წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი, 22 სექტემბერი

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მოსულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 443 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 443

დავკარგეთ საყვარელი შვილი, პატარა

**ია,**

რასაც ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ გულჩათუთქული მშობლები **მარიამ ლუკას ასული და დავით ნიკოლოზის ძე ავალიანები.** მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 22 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე (გოსპიტლის ქუჩა, სახლი ფანჩულიძისა).

---

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან:

## ცეცხლიანი ეშმაკი

დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ მსახიობ ქალის ხოლოდნაიას მონაწილეობით.

სახუმარო სურათი. **პრენსი როგო გახდა ყაჩაღი.** სახუმარო სურათი.

---

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი დ. ო. ნიჟარაძე აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს დილის 10 საათზე დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივი

## კრება

სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩეველთა ასარჩევათ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოზი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**იყიდება** ბოჭკები და ჩინი, აგრეთვე ქირავდება ღვინის საკეთებელი მარანი მთელის მოწყობილებით. მოიკითხეთ ქ. ქუთაისი, კახიანაური, სახლი— გლო-ქავურული. 313—1—3

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, შეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.**

გ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზია შეუდგა 1917 წლისათვის ქართული კედლის კალენდრის გამოცემას.

სავაჭრო-სამრეწველო ფირმებს, აგენტურებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით მოათავსონ კალენდარში თავისი განცხადებები მეტად ზომიერ ფასად.

298—4—12.

---

ელექტრო „**ამპირ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 22 სექტემბრიდან

## და სიმღერა დაუთავებელი დარჩა

დრამა ხუთ ნაწილად მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით

**ქრონიკა გომონი** უკანასკნელი მიმდინარე ამბავი.

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან.**

20 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდინარე ნარაიუვკის მიდამოში და მდ. ზოლოტოილიპას მარჯვენა ნაპირს სიმაღლეებზე მედგარი ბრძოლა გრძელდება. კონტრ-იერიშით წამოსული მოპირდაპირე, დიდი ზარალით მოვიგერიეთ. დავატყვევეთ 1600 ავსტრიელი ჯარისკაცი, მათ შორის ოსმალონი და გერმანელებიც ერივნენ. მდ ბისტრიცაზე ბოგოროდჩანის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა დატყვევეს ორი საველე დარაჯი და სადარაჯო დაანგრიეს. ტყიან კარპატებიდან რუმინეთის საზღვრებამდე ენკენისთვის 6—15-მდე გენ. [illegible] ჯარს ტყვედ წამოუყვანია სულ 13 აფიცერი და 2596 ჯარისკაცი. დავლად დაგვრჩენია ამავე დროის განმავლობაში 4 ზარბაზანი 13 ტყვიისმფრქველი, 2 ნაღმისმტყორცნელი, 1 ყუმბარისმტორცნელი, 75 ყუმბარის ყუთი, რამდენიმე ათასი ვინტოვკა და ბევრი პატრონა.

19 ენკენისთვე.

**ლონდონი.** ოფიციალი ცნობა. მტრის რამდენიმე დირიჟაბლი საღამოს 9 საათიდან შუაღამემდე თავს დაესხა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროებს. სხვა და სხვა ადგილას ყუმბარები ჩამოჰყარეს. ჯერ არ მოსულა ცნობები ზარალის თაობაზე. თავდასხმა გრძელდება. რამდენიმე დირიჟაბლი აღარ ეშვება ლონდონის გარეუბნებს. ერთი დირიჟაბლი, ცეცხლ მოდებული, ჩამოვაგდეთ.

**ლონდონი.** სოლუნიდან მიღებული ინგლისის ოფიც. ცნობა 18 ენკენისთვის თარიღით. დოირანის ასპარეზზე ჩვენი ზარბაზნები ჩვეულებრივად მოქმედობდა. სტრუმას ასპარეზზე ორლიაკის ხიდის ქვემოდ, ჩვენმა ჯარმა ბულგარელების ბრძოლის ხაზის ნაწილი დაიპყრეს. ცხარე ბრძოლის და ზარბაზნების სროლის შემდეგ საღამოს განმავლობაში დაპყრობილი ადგილი გავაფართოვეთ. მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირის 6 იერში მოვიგერიეთ, 100 ტყვე ჩვენი ჯარის ზურგის მხარეს გავისტუმრეთ. ბრძოლა გრძელდება.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. შამპანში, მენილის. ბორცვის სამხრეთ მიდამოებში მტერმა ორჯერ მოულოდნელად ძლიერი სროლა აგვიტეხა. მოვიგერიეთ. ტაგურის აღმოსავლეთითაც უეცრად შემოგვიტია, მაგრამ უნაყოფოდ. ლონგაზენის მიდამოში, სომას ბრძოლის ხაზზე, მტრის დაზმული შარი ჩამოვაგდეთ.

მახლობელ აღმოსავლეთში დოირანის ტბიდან ვარდარამდე ხამუშ-ხამუშ ზარბაზნებით ბრძოლაა. ბელეშის მთის ძირში მზვერავთა შეჯახებაა. ყაიმაკჩალანის მიდამოში სერბიელებმა ბულგარელების გამაგრებულ სიმაღლეზე იერიში მიიტანეს. მოპირდაპირე თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ ბოლოს ბრძოლის ველზე დასტოვა ბევრი მოკლულის გვამი და უკან დაიხია. ბულგარელების ბატარეა სერბიელებს ჩაუვარდათ ხელში. ჩვენმა ჰაეროპლანმა სოფიას ყუმბარები დაუშინა და ბუქარესტის გზაზე დაეშვა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით ფრანგებმა აიღეს ბუშავენის აღმოსავლეთით მდებარე გერმანელების თხრილი.

მფრინავმა ბლოკმა, ბიპომის აღმოსავლეთით, დაზმული შარი ჩამოაგდო.

მახლობელ აღმოსავლეთში—სტრუმის მარცხენა ნაპირას სერბიელებმა ბულგარელების კონტრ იერიშები მოიგერიეს. ცრნის აღმოსავლეთით სერბიელებმა 2 ვერსით წინ წაიწიეს ყაიმაკჩალანას ჩრდილოეთით.

ჩვენს მარცხენა ფრთაზე ნისლი საომარ მოქმედებას აფერხებს.

20 ენკენისთვე.

**ჰააგა.** ჰოლანდიის გემი „პრინცი ხენდრიკი“ ინგლისის მიმართულებით გაამგზავრეს გერმანელებმა. ხოლო ზედ მყოფი 64 მგზავრი კი ტყვედ დაიტოვეს.

**ბუქარესტი.** რუმინელთა ოფიციალი ცნობა. გუშინ დილის 6 საათზე ფრანგის მფრინავი საროვიჩიდან მონასტირის ასპარეზზე გაემართა, მას უნდა გადაევლო სოფია და ბუქარესტში მისულიყო. მფრინავმა სოფიას გადაუარა, ყუმბარები დაუშინა და ბუქარესტში მივიდა იმავე დღეს დღისით თორმეტის ნახევარზე გერმანიელების მფრინავები დაედევნენ ფრანგის მფრინავს.

**მუკდენი.** მუკდენის და გირინის ჩინელთა ჯარის უფროსებმა სავსებით შეასრულეს იაპონიის მოთხოვნილება და ამ მიდამოებიდან ჯარი გაიყვანეს. სამხრეთ-აღმოსავლეთით მანჯურიაში სიპანგაიჩჟენცზია-ტუნისა და ჩუნჩჟულინ ჩაილინსიანის ხაზზე ყველგან იაპონელების სადარაჯოებია. იაპონელების დანარჩენი ჯარი ჩანჩუნის ალლუმებში მონაწილეობის მისაღებად დაიბარეს.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგში კანონპროექტი შეიტანეს, რომლითაც თხოულობენ, რომ პარლამენტის რწმუნებულებანი 1918 წლის 12 იანვრამდე დარჩეს ძალაში. თუ ეს ვადა საკმაო არ აღმოჩნდა, მის გაგრძელებაზე აღიძვრის საკითხი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ კომბლის ალების წინ დიდი ბრძოლა მომხდარა.

იგივე გაზეთები სწერენ კომბლის მიწის ხვრელებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ვიდრე ბელგიის საზღვარზე მყოფ უდიდეს ციხებსო.

ავსტრიის ქალაქების და მათ შორის ვენის გარნიზონები ბრძოლის ველზე გაუგზავნიათ.

კოვალზე მოტანილ გერმანელთა იერიშებს მიზნათ აქვთ კოველ—ვლადიმირ ვოლინის გადარჩენა და წინ წასულ რუსის ჯარის უკან დახევა.

ერთი გერმანული გაზეთი სწერს ჯერ რა დროს ანექსიებზე ლაპარაკია, როდესაც ჩვენი მტრები ისევ მტკიცეთა სდგანან ჩვენ საწინააღმდეგოთა. ის, რასაც ჩვენ აქამდის მივაღწიეთ, არაფერია იმასთან შედარებით რაც შემდეგში უნდა გავაკეთოთ, ხმელეთზე რომ სულ გავანადგუროთ ჩვენი მოწინააღმდეგენი ინგლისი მაინც დარჩება ზღვაზე გაბატონებული და 30 ათი წელი რომ გაგრძელდეს ომი მაინც ვერაფერს დავაკლებთ ინგლისსო.

შეერთებულ შტატების წარმომადგენელი გერმანიაში ჯერარდი ამერიკაში გამგზავრებულა. წასვლას იმითი ხსნიან, ვითომ ჯერარდს დავალებული ქონდეს გერმანიის მიერ შეაგნებინოს შტატების მთვრობას, რომ გერმანიამ აუცილებლად [illegible] წყალქვეშა დაუბრკოლებლივ ბრძოლას.

მთელ გერმანიაში, საერთო აღტაცებაა სავაჭრო წყალქვეშა „არემენის“ ამერიკაში მისვლის გამო.

ინგლისში ახალი 6% იანი სესხი უკვე გამოუშვეს.

რუმინიის გამოსვლამ გერმანელთა უდიდესი ნაწილ გარეშე საქმეთა მინისტრის ფონიაგოვის წინააღმდეგ აამხედრა და თან და თან უფრო დაჟინებით ლაპარაკობენ მის გადაყენებაზე.

რუმინული გაზეთების აზრით ავსტრიელები ბუკოვინაში მალე უკანასკნელ ციხე—სიმაგრე დასნავატრას დაკარგავენ; ამ ქალაქთან დიდი ბრძოლა მოხდება, ავსტრიელებმა დამხმარე ძალები მიიღესო.

ომის დაწყებიდან ბრძოლის ველზე მოუკლავთ ინგლისის პარლამენტის რვა წევრი.

დიდ დახმარებას უწევს თურმე მოკავშირეთა ჯარს დასავლეთის ასპარეზზე ახლად გამოგონილი ჯავშნიანი ავტომობილები. ერთ ალაგას სამი საათის განმავლობაში დაჭრილები გადმოყავდა იმ დროს, როდესაც გერმანელები გამალებით უშენდნენ. მეორე ალაგას ჯავშნიანი ავტომობილი გერმანელების მიერ დაპყრობილ სოფელში შევარდნილა და მტერი გაუდევნია მესამე ალაგას კი იმდენი ტყვეები ჩაუგდია ხელში, რომ არ იცოდა თურმე რა ექნა მათთვის მაგრამ ქვეითა ჯარმა გაუსწრო და ტყვეები უკან გარეკეს. ეს ჯავშნიანი ავტომობილი ხშირად ერთი უმკლავდება მოწინააღმდეგის ბატარეას და ხან სჯობნის კიდეც.

სოციალდემოკრატია კონფერენციაზე გერმანიაში შეიდემანს უთქვამს კანცლერმა უნდა გამოაცხადოს რომ გერმანია თანახმაა უანე-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. ნარაიუვკაზე სასტიკი ბრძოლები მოხდა. დიდი ბრძოლა მოხდა აგრეთვე მდ. ზოლოტაია ლიპაზე. ავსტრიელებს იერიშები მიაქვთ.

**დასავლეთის ასპარეზი.** ჩრდილოეთის ნაწილში ბრძოლები შეწყდა. ვერდენთან სიწყნარეა.

**ბალკანეთის ასპარეზი.** სერბიელები ბულგარელთა იერიშებს იგერიებენ, განსაკუთრებით მკაცრი იერიშები მოაქვთ ბულგარელებს მდ. სტრუმიცის ველზე.

დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

საბერძნეთში რევოლიუცია ძლიერდება. ჯარისა და ფლოტის ნაწილი მოკავშირეებს შეუერთდა.

ქსიო ზავის ჩამოგდებაზე და თუ მოკავშირეები უარს იტყვიან,

—

**რევოლიუცია საბერძნეთში.**

ჯავშნოსანი „ჰიდრა“ მოკავშირეთა ფლოტს შეუერთდა.

—

კრიტორის მე 14 პოლკიდან მხოლოდ 25 კაცი გამომდგარა მეფის ერთგული.

—

ახლად ჯარში გაწვეულთა დაფიცების დროს მეფე კონსტანტინემ სიტყვით მიმართა ჯარის კაცებს და სხვათა შორის უთხრა მათ: საკმარისი არ არის მარტო ერთერთგულება, თქვენ უნდა ბრმად ენდობოდეთ თქვენ მეფეს. სახელმწიფოს მოღალატენი გეტყვიან თქვენ მეფე პატრიოტიზმს ეფარება და თქვენ თავის მიზნებისთვის გიყენებთო. ყურ ნუ უგდებთ! ამის მეტს არას გეტყვიო და გახსოვდეთ, რომ იმ ჯარის სახელს მატარებელი ხართ, რომელიც ათასი წლების განმავლობაში მამაცისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ ითვლებოდა“.

ჯარი აღტაცებით შეხვდა მეფის სიტყვებს და იმღერა ახალი ჰიმნი რომელიც მეფე კონსტანტინეს სადიდებლად არის შედგენილი: „შენ ჩვენს, კონსტანტინე მიგვაღწევინებ დიდებას!“

—

ვენიზელოსს მომხრეთა გაზეთებს იმედი აქვთ კიდევ მეფის და ვენიზელოსის შერიგებისა.

—

გაზ. „ნეა ელლას“ სწერს: ვენიზელოსი მიდის, ერთ ხელს მეფეს უწვდის, მეორეთი საზღვარზე მიუთითებს და მოუწოდებს: მეფევ, აი დიდების და სახრლის გზაო.

—

მმართველ წრეებში დარწმუნებელი არდიან, რომ მეფის და ვენიზელოსას შერგება შეუძლებელია.

—

ცნობილი კორესპონდენტი დილონი, იწერება: მოკავშირეებმა, რომ გერმანიის

ჩამოაშორონ საბერძნეთი, მისი უერთგულესი დამხმარე, ეს უდიდესი გამარჯვება იქნება მათი ბულგარეთზედაო.

## სამხედრო მიმოხილვა.

ამა წლის გაზაფხულზე მოკავშირეებმა დაიწყეს ფართე საერთო შეტევა თითქმის ყველა ასპარეზებზე. გერმანელებმაც მიიღეს ზომები და უდიდესი ბრძოლები დატრიალდა დასავლეთის, აღმოსავლეთის, კავკასიის ასპარეზზე; მთელმა ზაფხულმა ამ ბრძოლებში განვლო; ბოლოს რუმინიაც ჩაერია ომში, რამდენადმე ძლიერი ბრძოლები ატყდა დობრუჯაში; და ეს ბრძოლა უკანასკნელ თვალსაჩინო ბრძოლად უნდა ჩაითვალოს. დიდი ბრძოლების ხანაში ამის შემდეგ ყველგან შედარებითი სიწყნარე ჩამოვარდა.

არ შევეხებით იმას, თუ რამდენად მიაღწიეს მიზანს მოკავშირეებმა ზაფხულის განმავლობაში, ხოლო აღვნიშნავთ, რომ რუმინიის გამოსვლამ ახალი დამოკიდებულება დაამყარა ასპარეზების შორის და სულ სხვა ასპარეზებით შეიქნა საჭირო მოქმედება, როგორც ერთი მხრისათვის, ისე მეორესთვის.

ამისდა მიუხედავათ ძალების შეჯგუფება-კონცეტრაციაც მებრძოლებმა ახალ ადგილას მოახდინეს. ეს ალაგებია მაკედონიის ასპარეზი და რუმინიის ვრცელი ბრძოლის პირი.

რაც შეეხება დანარჩენ ასპარეზებს, აქ, უმეტეს ნაწილად ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია. თუმცა ხანდახან ეს ბრძოლები მკაცრ ხასიათსაც ღებულობენ, მაგრამ მათი მიზანი მაინც მცირე და ადგილობრივია. ბრძოლის ხაზის გამოსწორება, უფრო მარჯვე პოზიციების მოპოვება, აი რით განისაზღვრება ამ ბრძოლების დანიშნულება.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი იტყობინება, რუსეთ-გერმანიის და რუსეთ-ავსტრიის ასპარეზებზე ბრძოლები აქა იქ ხდებაო. სწორედ ეს აქა-იქობა ბრძოლებისა მაჩვენებელია იმისა, რომ ბრძოლები ადგილობრივი ხასიათისა არიან; „კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარაო“ გვამცნობს შტაბის ოფიციალი ფურცელი; მაშასადამე აქაც ცვლილება ხდება, მხოლოდ არა არსებითი.

ეს ადგილობრივი ბრძოლები იმის მაჩვენებელია, რომ მებრძოლი მხარე იმის ცდაშია, როგორმე მკვიდრ პოზიციებზე მოაკიდებიოს ჯარს ფეხი, შემდეგ მოახდინოს გადაჯგუფება და ახალი ბრძოლეისთვის დაირაზმოს საჭირო ალაგზე.

ამნაირად იწყება ზამთრის ბრძოლებისთვის მზადება.

რა სახისა იქნებიან ზამთრის ბრძოლები, სად მოხდება, რა ძალებით და რა მიზნით, ამას ახლო მომავალ იდაგვანახვებს.

შვერელი.

## სალამი

**ქუთაისის ქართველობის ახალ წევრს.**

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორობა აკისრა ქართულ საზოგადო საქმეებისადმი თავისი ერთგულებით განთქმულმა მ. ი. თათქთაქიშვილმა.

ბ-ნი მიხეილი ქართლელია, გორის მაზრიიდან და ცნობილია, როგორც უანგარო და თავდადებული მუშაკი.

აი რასა სწერენ ბ-ნ თაქთაქიშვილის შესახებ ბაქოდან „სახალხო ფურცელში“.

„ამ დღეებში ბაქოს ქართველთა ახალშენმა ქუთაისში გაისტუმრა თავისი ერთი საუკეთესო წევრთაგანი, ადგილობრივი კომერციული სასწავლებლის დირექტორი მ. ი. თაქთაქიშვილი. ბ ნი თაქთაქიშვილი ყველასაგან პატივცემული და იშვიათის მხნეობით და უნარით აღჭურვილ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა ბაქოში და მისი აქედან წასვლა საგრძნობი დანაკლისია ადგილობრივ ქართველობისათვის. წ.-კ. საზ. ბაქოს განყოფილების გამგეობამ და მასთან არსებულმა დრ. კომიტეტმა 13 სექტემბერს გამოსათხოვარი ნადიმი გაუმართა, რომელსაც 80-მდე ქალი და კაცი დაესწრო. მ. თაქთაქიშვილი უბრალო, სადა ადამიანი და მეტად გულწრფელი უანგარო საზოგადო მოღვაწეა და ნადიმსაც უბრალოებისა და გულწრფელობის ელფერი ჰქონდა. სიტყვები და ადრესები ი. ი. დადიანისა, ს. კვიტაშვილისა ს. ჰანტურიშვილისა, ილია ნაკაშიძისა, არ ახობაძისა და სხვათა მომხიბვლელი იყო სწორედ ასეთი გულწრფელობით, სადაც აღნიშნული იყო მისი ღვაწლი ადგილობრივ ქართველებისა და მთელი ერის წინაშე. ბ-ნი თაქთაქიშვილის დაუღალავმა შრომამ ბაქოში არარაისაგან შექმნა წ.-კ. საზ. ქართული სკოლა და მკვიდრი ნიადაგი მოუპოვა მას; აყვავების გზაზე დააყენა ქართული თეატრის საქმეც. ამიტომ წ.-კ. საზ გამგეობამ დაადგინა მ. ი. თაქთაქიშვილი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიოს და მისი სურათი სკოლაში ჩამოჰკიდოს. ბ ნი თაქთაქიშვილის უანგარობას და კეთილშობილ მამულიშვილობას, სხვათა შორის, ამტკიცებს მის მიერ ჩვენი საზოგადოების წინაშე ამ ჟამად გაწეული მსხვერპლი. ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მსხვერპლია და თვალსაჩინო მსხვერპლიც თავისი ხანგრძლივი შრომით დიდებულად მოწყობილი საქმის (სასწავლებლის) მიტოვება და საგრძნობლად უფრო მცირე ჯამაგირზე გადასვლა. მასწავლებელთა კორპორაცია, სასწავლებლის სამზრუნველო და მოწაფეთა მშობლები სწუხან მის წასვლას და მზად არიან ჯამაგირი გაუორკეცონ. მაგრამ ის ხალისით მიეშურება იქით, სადაც მისი მხნეობა, შრომა, ცოდნა და გამოცდილება თავის ღვიძლ მოძმეთ გამოადგება, სარგებლობასა და ნაყოფს მოუტანს.

„თქვენს სურათს, გამგეობის გადაწყვეტილებით ჩვენს სკოლაში დაკიდებულს, უთხრა ბ-ნ თაქთაქიშვილს სკოლის მასწავლებელმა მ. კაკაბაძემ, აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ბავშვებისათვის. სურათი იგი კეთილშობილი მამულიშვილის და ქვეყნისათვის დაუღალავი გულწრფელი საზოგადო მოღვაწის მისაბაძ მაგალითად ექნება მოწაფეთ“.

ჩვენ ჩვენის მხრით ვუძღვნით რა გულწრფელ სალამს ბ ნ მიხეილს ქუთაისში ჩამოსვლისა გამო, ვუსურვებთ, რომ ქუთაისის საზოგადოებას ისევ დაეფასებინოს მისი შრომა და გარჯა, როგორც ეს დააფასა ბაქოს ქართველობამ.

ქართველი საზოგადო მოღვაწისათვის იმაზე დიდი ჯილდო არ იქნება, როცა შრომა და გულწრფელობა მისი ღირსეულად არის დაფასებული.

ჩვენ იმედი გვაქვს რომ ბ-ნ მიხეილი დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოდ ქუთაის და კერძოდ იმ ყვავილთ—ახალ გაზდობას,—რომლის აღზრდა—გაწვრთნაც იკისრა პატივცემულმა მოღვაწემ...

ქართლელი.

## რუსული პრესა.

გერმანიის შინაური მდგომარეობის შესახებ „რუსკ. ვედ“ (№212) ბ-ნი ლურიე სწერს:

ტეხნიკა, ცოცხალ ძალთა რაოდენობა, სასურსათო საკითხი და სულიერი განწყობილება, აი მთავარი და საყურადღებო მომენტები მებრძოლ სახელმწიფოთა შინაური მდგომარეობისა, და ამითაა დღეს ყველა დაინტერესებული.

ტეხნიკის მდგომარეობა, რამდენადაც ის ხელს უწყობს გერმანიის ჯარის მოქმედებას, განისაზღვრება ქვა ნახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებით და მისი წარმოების რაოდენობით. ამ წარმოების განვითარებლად წარმოების სხვა დარგებს ნაკლები ყურადღება ექცევა და მთელი მუშათა ხელი (ტყვეებისაგან [illegible]) ამ [illegible] ბაშია ჩამბული. [illegible] ყოფა ცხოვრება ძალზე [illegible] (ნავთის [illegible] რებაც კი აკრძალეს გასანათებლად). ყველაფერი განზე გადადებულია, ცდილობენ მხოლოდ იმას, რომ ჯარს გაუწიონ სათანადო შემწეობა და დახმარება ტეხნიკის მხრით.

რამდენიმე რყევისა და დაბრკოლების შემდეგ, გერმანელებმა შესძლეს გასული წლის ბოლოს გაედიდებიათ წარმოება მრეწველობის ამ სფეროში და ეს ნათლათ ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

**თუჯის ყოველდღიური საშუალო წარმოება შეადგენდა გერმანიაში:**

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი | 1915 წ. | 28,2 | ათას ტონს. |
| ივნისი | 1915 წ. | 33,1 | „ „ |
| იანვარი | 1916 წ. | 34,8 | „ „ |
| ივნისი | 1916 წ. | 36,0 | „ „ |

**ფოლადის ყოველდღიური საშუალო წარმოება:**

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი | 1915 წ. | 38,6 | ათას ტონს. |
| ივნისი | 1915 წ. | 41,6 | „ „ |
| იანვარი | 1916 წ. | 49,1 | „ „ |
| ივნისი | 1916 წ. | 55,0 | „ „ |

**ქვანახშირის ყოველდღიური საშუალო წარმოება კი შემდეგს:**

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარი | 1915 წ. | 246,0 | ათასი ტონი. |
| ივნისი | 1915 წ. | 447,7 | „ „ |
| იანვარი | 1916 წ | 311,1 | „ „ |
| ივნისი | 1916 წ. | 328,4 | „ „ |

ამრიგათ, გერმანიამ ამ უკანასკნელ წელიწად ნახევრის გამავლობაში შესძლო გაედიდებია ყოველდღიური წარმოება თუჯისა ერთი ხუთმეტათ, ფოლადისა მეტი, ვიდრე ორი მეხუთედი და ქვანახშირის კი ერთი მესამედით. როგორც ზემო მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ ხანებში წარმოების განვითარება ნელი ნაბიჯით მიდის, მაგრამ მაინც არის შესაძლებლობა, რათა ტეხნიკის მხრით სათანადოთ დაკმაყოფილონ ომისაგან გამოწვეული მოთხოვნილებები.

რაც შეეხება ომში გაწვეულ მამაკაცთა რაოდენობას, ამ მხრით გერმანია განსხვავდება ავსტრიისაგან, ავსტრიაში დიდი ხანია რაც გაწვეულია ორმოცდათუთხმეტ წ—მდე. ამრიგათ, ავსტრიასთან შედარებით, გერმანია უკეთეს პირობებშია, ვინაიდან მას შეუძლია ომში გაიწვიოს საჭიროების დროს 45 წელს ზევით—55 წლამდე.

გერმანელთა ეკონომიური ორგანიზაცია გაცილებით სჯობია ავსტრიისას და ამიტომაცაა გერმანიას იმედი აქვს, რომ დარჩენილ ხნიერი მამაკაცებიც რომ გაიწვიოს, მაინც შესძლებს მცხოვრებთა და ჯარის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

სახელმწიფო შინაური მდგომარეობის მესამე ფაქტორი,—სასურსათო საკითხი,—შესდგება ორი მომენტისაგან: რაოდენობა პირველი საჭირო საგნებისა და მასთან დაკავშირებული დღევანდელი სიძვირე. მოსავალი მოკრეფილია, პურის რაციონი იგივე დარჩა ომის მესამე წელზე, რაც წინათაც იყო; მხოლოდ მოუმატეს მუშებს და ყველა ახალგაზრდებს

# დაფნისი და ქლოია.

**ანტიური მოთხრობა ლონგუსისა.**

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 442.)

22. მგლის ტყავ-გახდილი და ძაღლების კბილიდან გადარჩენილი დარკონი დაბრუნდა სახლში ჭრილობათა მოსარჩენად. დაფნისსა და ქლოიას კი დიდი შრომა დასჭირდათ დამფრთხალ ცხვარ-თხის შესაგროვებლად. „მგლისა“ და ძაღლებისაგან შეშინებული და დამფრთხალნი ზოგნი მთის ნაპრალებსა და კონცხებს მოექცნენ, ზოგმა ზღვის ნაპირისაკენ იბრუნეს პირი. სალამურის ხმასა და ტაშის დაკვრაზე წინეთ ანაზდათ შეგროვდებოდნენ ხოლმე, მაგრამ ახლა კი ისე დააშინა „მგლის ღმუილმა“, რომ ყველაფერი დაავიწყდათ. დაფნისი და ქლოია კვალზე მისდევდნენ, ვით კურდღელს. და, როდესაც სალამოს ფარეხში შერეკეს, პირველი ღამე იყო, რომ დაღლილ-დაქანცულობა უებარ საშვალებად მოევლინა მათ სიყვარულს და მკვდარივით მიეძინათ ორივეს. ხოლო მეორე დღეს კვლავ ახალი ტანჯვანი ესტუმრნენ მათ არსებას. იგივე სიხარული შეხვედრის ჟამს და მწუხარება განშორებისას. სევდამ მოიცვა მათი სული და გული, რაღაცა სურდათ, მაგრამ—რა, თვითონაც ვერ მიმხვდარიყვნენ. მხოლოდ იცოდნენ, რომ ქლოიას ტანჯვის მიზეზი წყარო იყო და დაფნისის კი—ქლოიას კოცნა. გაზაფხულის დასასრულმა კი უფრო აამღელვარა მათი გული და გრძნობანი.

23. ზაფხული იწყებოდა. სიცოცხლის ძლიერებითა და სიხარულით სუნთქავდა ყოველი არსი. ხეხილთა ნაყოფნი მომწიფდნენ და ყანები ნამგალს ელოდნენ. ყველგან ზაფხულის სუნი ტრიალებდა: არ ეძლეოდა დასასრული ჭრიჭინათა ჭრიამულს, ბატკანთა ბღავილს. ნაკადულნი ნანინას უგალობდნენ ამწვანებულ ნაპირებს. ცაცხვის ფოთოლთ შორის დანავარდობდა ნიავი და სალამურის ხმას ემზგავსებოდა მათი შრიალი. დედამიწის ამბორს მოწყურებული და დამწიფებული ლოყა წითელი ვაშლები სწყდებოდნენ მასაზრდოებელ შტოთ. ყველას აიძულებდა გაშიშვლებულიყო სილამაზის თაყვანისმცემელი მზე. ყველაფერი ამღელვარებდა დაფნისს: ცივ ანკარაში ყურყუმალობდა და ჰყუპალაობდა, ხან მის გარშემო მონავარდე თევზებს გამოეკიდებოდა და ხშირად ეწაფებოდა მდინარეს, თითქო მკერდში აღგზნებული ცეცხლის ჩაქრობა სურსო. ნახევრამდე ფარა მოწველა ქლოიამ და საწველელიდან კასრში იღებდა რძეს... დიდხანს ვერ მოათავა წველა, რადგან ბუზები ჰკბენდნენ და აწუხებდნენ. შემდეგ პირი დაიბანა, ცაცხვის შტოთა გვირგვინით დაიმშვენა თავი, ავაზის ტყავი გადიგდო მხრებზე და ღვინითა და რძით აავსებდა თასებს, რომ ერთად შეესვათ მასა და დაფნისს.

24. მათი სიყვარულის ალი უმთავრესად შუადღეზე ცხოველდებოდა. იმ დროს ქლოია შიშველს უმზერდა დაფნისს, თვისი თვალებით განიცდიდა მის მშვენებისა და სილამაზის მხიბლაობას და იტანჯებოდა; დაფნისიც სტკბებოდა, როდესაც ავაზის ტყავში გამოხვეული და ცაცხვის შტოთა გვირგვინით დამშვენებული, ღვინით ან რძით სავსე თასს გაუწვდიდა და მწყემსს ეგონა, რომ ის, ქლოია, გამოქვაბულის ერთი ღვთაებრივ ფერიათაგანია. მოხსნიდა ქლოიას თავიდან ცაცხვის შტოებს, ჰკოცნიდა დიდხანს და შემდეგ თვითონ დაიმშვენებდა თავს გვირგვინით. არც ქლოია ჩამორჩებოდა მას: დაფნისი ბანაობის დროს აიღებდა მის წელსაბამ (ხირლას), ელერსებოდა ჰკოცნიდა და შემდეგ მოიხვევდა წელზე. თამაშობის დროს ვაშლს ესროდნენ ერთი მეორეს, ან თმებს უწნავდნენ. დაფნისის კულულებს მირსინის ნაყოფს ადარებდა ქლოია, რადგან ისინიც ისე შავნი იყვნენ; დაფნისი კი თურაშაულის ვაშლს ამზგავსებდა მის ლოყებს. დაფნისი ასწავლიდა მას სტვირ სალამურზე დაკვრას; და, როდესაც ქლოია სალამურს მიიტანდა ტუჩებთან, უკანვე ართმევდა სწრაფად და ეძებდა იმ ადგილს, რომელსაც შეეხნენ ბაგენი და ვითომ უჩვენებდა, რომელ ხმაზეც სცდებოდა ის ნაძდვილად კოცნათა შვამავლობას ასრულებდა ლერწამი.

25. ერთ დღეს—სიცხე-პაპანაქებაში, როდესაც ფარას აძოვებდა და სალამურს უკრავდა დაფნისი, ქლოიას მიეძინა. დაფნისი დააშტერდა მძინარე ქლოიას, ველარ ძღებოდა მისი მზერით; და, რადგან ალარავისი რცხვენოდა, ჩურჩულებდა თავისთვის:

— როგორა სძინავთ მის თვალებს, როგორ უცემს გული! მისი სულთქმა ვაშლისა და კუნელის სურნელებაზე უტკბესია. ვერც კი ვბედავ მოვეხვიო და გულში ჩავიკრა, მისი კოცნა სულს მიწამლავს და ახალი თაფლივით მახელებს. გალვიძებისაც მეშინიან ოჰ, სარაკელა და მოუსვენარო ჭრიჭინა! რად უფრთხობ ძილს? აგერ კიდევ ვაცნი წაიკიდნენ და ახლა მათი რქის რახა-რუხი ისმის. მელიაზე მშიშარა, მგელნო, რატომ არ დასჭამთ იმ თხებს, რომ მოსვენებული ძილი ჰქონდეს ქლოიას?

26. როდესაც ასე მსჯელობდა დაფნისი და თავის თავს ესაუბრებოდა, მერცხალის დევნილი ჭრიჭინა დაახტა ქლოიას გულზე, რომ თავშესაფარი ენახა. მერცხალმა ველარ დაიჭირა გაქცეული მწერი, სამაგიეროდ ისე ახლოს ჩაუსრიალა ქლოიას, რომ ცალი ფრთით შეეხო მის სახეს. შეშინებული ქლოია კივილით წამოვარდა ზეზე ხოლო, როდესაც მის თავზე მფრინავი მერცხალი დაინახა და მასთან დაფნისის კისკისიც მოესმა, ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა და დამშვიდდა, ქალის მკერდში თავშეფარებულმა ჭრიჭინამ კი სიმღერა მორთო, თითქო სამადლობელ ჰიმნს უგალობს ღმერთებს, რომ დაიხსნეს სიკვდილისაგანო. ქლოიამ ხელმეორედ შეჰკივლა და დაფნისი კი ხარხარებდა. შემთხვევით ისარგებლა მან და ხელი ჩაუყო მკერდში, რომ ამოეყვანა შიშით გულგახეთქილი ჭრიჭინა, რომელიც მის ხელში განაგრძობდა ხმაურობას. ქლოიამ დაათვალიერა მისი გულკერდის დაუპატიჟებელი სტუმარი, გაიღიმა, ხელზე დაისვა, აკოცა და ისევ გულში ჩაისვა.

27. სწორედ ამ დროს გვრიტის ღუღუნი მოისმა ჰალიდან; ორივენი სმენად გადიქცენ. ქლოიამ ჰკითხა, რას ამბობს გვრიტიო და დაფნისმაც უამბო ხალხში გავრცელებული არაკი:

„ერთ დროს სცხოვრობდა ქვეყნად შენსავით ლამაზი და ახალგაზდა მწყემსი ქალწული: ძროხებს აძოვებდა. ძლიერ ნაზი ხმა ჰქონდა. ძროხებსაც უყვარდათ ის და მისი ხმაც, არასოდეს არ უხმარნია მას ჯოხი და შოლტი. სურნელოვან ცაცხვთა ჩრდილში პანსა და ჯეჯილთა ღმერთ პიტისს უგალობდა. მისი ხმით მოხიბლული ძროხები ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან, იმავე ადგილებში სცხოვრობდა ისეთივე ლამაზი მსყემსი ჭაბუკი, რომელსაც სალამურზე დაკვრაში ვერავინ შეედრებოდა. ქალწულის მეტოქეს ვაჟკაცური გამობრმედილი და უფრო ძლიერი ხმა ჰქონდა და მასთან ნაზი, ვით ბავშის ამოძახილი. თვისი სიმღერით ერთხელ ქალწულის რვა ძროხა გადმოიბირა და სულ სხვაგან გარეკა საძოვრად. ქალწული ღმერთებს ევედრებოდა, ჩიტად გადაექციათ, რომ აღარასოდეს არ მობრუნებულიყო იმ ადგილებში ხალხის სასაცილოდ. ღმერთებმა ისმინეს მისი ვედ-

ორივე სქესის 12 წლიდან 17 წლამდე, დღეში რუსის გირვანქის მერვედი ნაწილი. ხორცის რაციონი განსაზღვრულია მთელი გერმანიისთვის. 2 სექტემბრიდან და თითოეულ სულზე მოდის ჩვენებური გირვანქა ხუთი ერთ კვირაში. ერბოს რაციონი კი ძველებურად დარჩა (ჩვენებური გირვანქის მეხუთმეტედი ნაწილი დაახლოვებით). რომ ვიანგარიშოთ რამდენ კალორიას მიიღებს გერმანელი ომის მესამე წლის განმავლობაში, გამოვა ექვსჯერ ნაკლები იმ ფიზიოლოგიურ ნორმის, რომელიც აუცილებელი პირობაა, რომ მცხოვრებლებმა ნორმალურათ შრომა შესძლონ. ამ ნაირათ გერმანიაში ეჭვს გარეშეა ადგილი აქვს უჭმელობას მაგრამ შესაძლებელ ფარგლებში.

საკმაო „მოთმინებით" შეხვდენ ისინი სიძვირესაც. ჩვენ ვიცით, რომ გერმანიაში უფრო თვიურად ქვეყნდება საშუალო ღირებულება კვირეული საოჯახო ხარჯებისა. ომის დაწყების უკანასკნელ თვეში კვირეულ საოჯახო რაციონი ღირდა საშვალოთ 25 მარკა და 12 პფენ. წელიწად-ნახევრის შემდეგ, ეს ღირებულება გადიდდა 60 პროცენტით და აქედან მოკიდებული თანდათან იზრდებოდა. მაისში, 1916 წელს, კვირეული საოჯახო რაციონის ღირებულება უდრიდა 52 მარკას და 29 პფენ. ივნისში კი 110 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე მშვიდობიანობის დროს. რაც შეეხება მესამე პუნქტს— სულიერ განწყობილებას, რამდენათაც ეს შეეხება მმართველ წრეებს, შეგვიძლია შემდეგ ეპიზოდი დავასახელოთ. როგორც ვიცით, კანცლერმა დაარსა განსაკუთრებული „ნაციონალური კომიტეტი", რომლის მოვალეობა იყო ხალხში ექადაგნა კანცლერის სამშვიდობო პირობათა პროგრამა. ეს ქადაგება მიმართულია ერთის მხრით სოც. დემოკრატების წინააღმდეგ, რომელნიც უარყოფენ ყოველგვარ ანექსიას, მეორეს მხრით კი კონსერვატორების წინააღმდეგ, რომელნიც ელტვიან ფართო ანექსიას (ბელგია), ამას წინად ამ კომიტმა გამოსცა სპეციალური ორგანო კანცლერის პლანების დასაცვად. პირველ ნომერშივე (1 სექტემბერი) რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავს თავის სოლიდარობას პროფესორ გრელტშის შემდეგ განცხადებასთან: „თუ ჩვენ ვერ შემუსვრა არ შეუძლიათ, აგრეთვე არც ჩვენ შეგვიძლია სხვისი შემუსვრა. ადრე, თუ გვიან აქედან უნდა გამოიყვანოს საზოგადოებრივმა შეგნებამ შესაფერი დასკვნები" ო. წინეთ დეპუტატმა ჰაასემ რეიხსტაგში განაცხადა, რომ „ამ ომში არ იქნება არც დამარცხებული და არც გამარჯვებულიო". მას სიტყვა წაართვეს და ისეთივე მოღალატეთ გამოაცხადეს, როგორც ლიბკნეხტი. (თ. ა.)

# ახალი ამბავი.

გუშინ ქუთაისში გამოაკრეს შემდეგი განცხადება:

,,ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება ებრძანა, რათა ჯარში გაიწვიონ პირველი ხარისხის სახელმწიფო მოლაშქრენი.

მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 1916 წლის 20 სექტემბერი. თანახმად უმაღლესი ბრძანებისა ჯარში გაწვეულ იქნებიან:

1) პირველი ხარისხის მოლაშქრენი (წითელ ბილეთებიანები).

1916 წლიდან 1894 წელში გასაწვევები. და ის გაწვევისაგან განთავისუფლებულნი, ვინც თავის ნებით მოინდომებს სამსახურს.

2) მეორე ხარისხის მოლაშქრენი (ლურჯ ბილეთიანები), რომლებიც უკვე გაწვეგაწვეულნი იყვნენ და ისინი ვინც მეორე ხარისხის მოლაშქრეთა რიცხვში იყვნენ ჩარიცხულნი ფიზიკურად უვარგისობის გამო ჯარში გაწვევის დროს, თეთრბილეთებიანების ხელმეორედ შემოწმების დროს და აგრეთვე ჯარიდან განთავისუფლების დროს.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურ. ,,ცხოვრების" მორიგი მე 13 ტე ნომერი ჟურნალი შინაარსიანი და სუფთადაა შედგენილი.

✦ ქუთაისში უკვე ჩამოვიდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორად დანიშნული ბ. ი. თაქთაქიშვილი, რომელიც აქნამდე ბაქოს საკომერციო სასწავლებლის დირექტორად იყო.

✦ მასწავლებელთა განთავისუფლება. კავკასიის მეფის მოადგილის განკარგულების გამო მასწავლებლები განთავისუფლებულ იქნებიან წითელბილეთიანები 1902 წლიდან 1897 წლამდე და ლურჯ ბილეთიანები 1916 წლიდან 1906 წლამდე. ეს შეღავათი ეძლევათ როგორც სახალხო მასწავლებლებს ისე საშუალო სასწავლებლის მასწავლებლებს.

✦ ქურდობა. რუბანის ქუჩაზე ღამის ქურდებმა გაქურდეს ალექსანდრე ხიდაშელი. მოიპარეს ქათმები და ტანისამოსი იმავე ღამეს გაუქურდავსთ ილარიონ მაჩიბერაძე აგრეთვე ქათმებით.

✦ არქიელის გორაზე ხოლერის ნიშნებით ავათ გამხდარა ერთი 12 წლის ბავშვი.

✦ ქუთათურ რუსულ გაზეთს ,,კუტ. ვ.‘‘ № 328 და 329 ნუმრებში დაბეჭდილია წერილი ვიღაც ,,ტერპელივისა‘‘, სვანეთის შესახებ. ავტორი ახლა ადგენს სვანეთის ,,ისტორიას‘‘ და იჩენს დიდ უვიცობას, როგორც სასკოლო საქმისას, ისე საქართველოს წარსულისას. ეტყობა ეს წერილი ან ნაკარნახევი უნდა იყოს რომელიმე „პოლიტიკანისაგან" ან ბ-ნ ავტორს სურს ახალი „აშორდიობა" და ან ოსპის შეჭამადზე ჰყიდის საქართველოს ინტერესებს.

ჩვენ ამ დღეებში გავარჩევთ ამ წერილებს და ვეცდებით ვიპოვოთ მიზეზი ასეთის კადნიერებისა.

✦ ამ დღეებში ქ. ქუთაისში ჩამოვიდა სახელმწიფოს სათათბიროს წევრი კარლო ჩხეიძე, მან სხვათაშორის ინახულა სახალხო შკოლების დირექტორი ბ. ვიშნევსკი.

✦ დანიშვნა. ქუთაისის მეორე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელნი ბ. გლოტოვი, ჯუღელი და ქუთათელაძე დაინიშნენ უმაღლეს პირველ დაწყებითი შკოლების ინსპექტორებათ — პირველი აბაშაში, მეორე ამაღლებაში, და მესამე ძველსენაკში. ახალსენაკის შკოლის ინსპექტორათ დაინიშნა ონის ინსპექტორი ს. პ. მერეჟკოვსკი.

## გ. მუმლაძის შეურაცხყოფის გამო.

სულის სიღრმემდი აღმაშფოთა ახალგაზდა ბელეტრისტის და კალმოსნის გიორგი მუმლაძის ბარბაროსულმა შეურაცყოფამ. იმედი გვაქვს პირთუვნელი საზოგადოებრივი სინიდისის სამსჯავროს წინაშე ქედს მოიხრის ბარბაროსი კალანდაძე!..

ლეო შენგელაია.

თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ნება მოგვეცით ჩვენი ულრმესი თანაგრძნობა და მონაწილეობა გამოუცხადოთ ამხანაგ გიორგი მუმლაძეს.

კალანდაძის ბარბაროსულ საქციელს კომენტარიები აღარ სჭირია!

თანამოაზრენი.

გულის სიღრმემდი ამაღელვა ბ. კალანდაძის ველურმა საქციელმა თუმცა პატიოსან კალმოსანი ყოველთვის უნდა მოელოდეს საზოგადოების ვერაგ წევრთაგან ჩაწიხვლას დაშეურაცხყოფას. მაგრამ იმედია რომ საზოგადოება პასუხს მოსთხოვს კალანდაძეებისთანა გმირებს და შესაფერათ დაფასებას მათ „მოღვაწეობას"

ნ. მიწიშვილი.

## პროვინცია.

**ახალი სენაკი.** 18 ამთვეს ადგილობრივ თეატრში მგოსანმა ნოე ჩხიკვაძემ გამართა ლიტერატურული სალამო. საღამოს პროგრამა ფართოდ იყო შედგენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სისრულეში არ იყო მოყვანილი. არ შესდგა წარმოდგენა, არც იყო წაკითხული ,,შეშლილის წერილები‘‘. სცენის მოყვარეებმა უმტყუნეს ნოე ჩხიკვაძეს და თავიანთი დაპირება არ აასრულეს. მიუხედავათ ამისა, საღამომ კარგათ ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა. ქუთაისიდამ მოსულმა ავტორმა ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა კარგათ შედგენილი ლექცია შემდეგ თემაზე: „მგოსანი აკაკი და მისი შემოქმედების ნაყოფი‘‘ პატივცემული ლექტორი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ლიტერატურულ განყოფილებაში საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა თვით საღამოს ინციატორმა ბ-ნმა ნოემ, რომელმაც დიდის გრძნობით წაიკითხა თავის საკუთარი ლექსეები. ხალხს ძლიერ მოეწონა მისი „მონა ქალი". რადგან სხვა არავინ იყო ამ განყოფილებაში, ბ-ნმა ალ. გარსევანიშვილმა მიიღო მონაწილეობა და წაიკითხა მის მიერ გადმოთარგმნილი **ედგარ პოს** მოთხრობა ,,თვალი ბრალმდებელი‘‘ წაკითხვის წინ ხალხს გააცნო ამ ნიჭიერი მწერლის ვინაობა. აგრეთვე შემთხვევით გამოვიდა ბ. ხოპერია და წაიკითხა, ორი ლექსი. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ალ. გარსევანიშვილმა ხალხი ბევრი დაესწრო.

აქაური.

## სამწუხარო მოვლენა.

საქართველოში ახალი მართვა გამგეობის დამყარების პირველ წლებში ქართველ არისტოკრატიას სირცხვილად მიაჩნდა ქართულ ენაზე ლაპარაკი და მსჯელობა. ეს სენი მაშინდელ ჩვენ საზოგადოებაში ისე გამეფდა, რომ მისი აღმოფხვრა და ძირიან ფესვიანად ამოგდება დღესაც ძნელი შეიქნა.

ნათქვამია ადამის მიერ ჩადენილი ცოდვა მთელ ქრისტიანს მოედვაო. სწორედ ასე დაგვემართა ჩვენც. მაშინდელ არისტოკრატიის მიერ ჩადენილი შეცდომა დამის არის მთელ ქართველ ერს მოედვას, პირველ ხანებში თუ მარტო არისტოკრატია ლაპარაკობდა თავიანთ შორის უცხო ენაზე, დღეს მათ მხარს, მცირე გამონაკლისს გარდა ინტელიგენციაც უმშვენებს, განურჩევლად, რასაკვირველია წოდებისა და მიმართულებისა.

საუბედუროდ ჩვენ ინტელიგენტებ შორის სათუარ მოვლენას ვხედავთ, ის ინტელიგენტი, რომელიც საზოგადო მოღვაწეთა შორის ირიცხება, ქართულ პრესაშიაც ცნობილია, როგორც ქართველი პატრიოტი და ეროვნული იდეების მქადაგებელი, ხშირად თქვენთან შეხვდერის დროს უცხო ენაზე იწყებს მუსაიფს. ვერ გამიგია რა საჭიროა მაგალითად ორი განათლებული ქართველი ინტელიგენტისათვის ერთმანეთის ნახვის დროს სხვა ენაზე მუსაიფი და ჟღურტული? როდესაც ამას პატარა ქართველებს ჩავდივათ, ეს ჩვენ შეუგნებლობით მოგვდის, მაგრამ ამ ჩვენ მეთაურებს რატომ-და მოსდისთ ეს? ნუ თუ მართლა გადაგვარების გზაზე შევდექით! ღმერთო გვაშორე ასეთი უბედურება და გაახსენე ჩვენ ხალხს აკაკის დიდებული სიტყვები: „გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგინ კრულია, მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია"-ო.

მ. ბუაჩიძე.

ერთხელ კიდევ აღნიშნავთ ამ ყველასაგან ცნობილ საძაგელ ჩვეულებას ჩვენის ინტელიგენციისას და ვისურვებთ, რომ მალე ბოლო მოეღებოდეს მას.

**რედ.**

# თეატრი და ხელოვნება.

## სეზონის დაწყება და პირველი წარმოდგენა.

ქუთაისის ქარ. დრამატ. საზოგადოების დასმა გახსნა სეზონი შიუკაშვილის პიესით „მთის ზღაპარი"თ.

ქუთაისის სცენაზე არ გვინახავს ასეთი უვარგისათ დადგმული პიესა.

რისთვის დასჭირდა რეჟისორს ისედაც პატარა სცენის შევიწროება? ან რა საჭირო იყო რაღაც უვარგისი ჩარჩოებით, ყირამალა დადგმული კულისებით, დაფარვა ნახევარი სცენისა, რომლის მიზეზით უმეტესმა ნაწილმა საზოგადოებისამ ვერც კი დაინახა... რა ხდებოდა სცენაზე?!

ნუ თუ სეზონის დაწყება არ შეიძლებოდა ისეთი პიესით, რომელიც უფრო შესაფერი ყოფილიყო ჩვენის სცენისა და დეკორაციებისათვის? ან რა ჰყრია ამ პიესაში, გარდა ნაწყვეტ ნაწყვეტ სცენებისა.

თუ რეჟისორს უნდოდა გამოეჩინა ნიჭი და უნარი ესეთი ზღაპრული პიესის დადგმით, სწორეთ ვერ მივულოცავთ. მიბაძვა მოსკოვის სამხატვრო თეატრისა მაშინ შეიძლება, როცა ხელთა აქვს თეატრი და მისი მოწყობილობა, დეკორაციები.

როდესაც მოსკოვის სამხატვრო თეატრში ზიხართ, თვალ წინ გეშლებათ წარმტაცი სურათი, სტკბებით და თან ჰფიქრობთ „აი დიდებული სურათი აი საუცხოვო სანახავობაო!" იქ არა სჩანს ცალიერი, უფერადო ტილო... აქ ქუთაისის სცენაზე კი თავის მადლიანის ხელით რეჟისორს ისე შეევიწროებია სცენა, რომ მსახიობნი ერთმანეთს გვერდს ვერ უვლიდენ. აიღეთ, მაგალითად, პირველი მოქმედების დეკორაციები, მთა, კლდე ღრეები, ჩაჩანჩქარი და მასთან ასასვლელად ხელოვნურად გაკეთებული კიბე, რომელსაც გადაფარებული ჰქონდა დეკორაცია და რომელიც ხან ერთს მსახიობს გაჰქონდა ფეხით და ხან მეორეს.

მეორე მოქმედებაში ხომ სულ არ სჩანდა რეჟისორის თვალი და გამოცდილება. თუ კი თეატრში ძველი რაიმე მოიპოვებოდა, ყველაფერი გამოეფინათ, მაგალითად, ძველი ჩვრები, მიფლეთილ-მოფლეთილი, დახავსებული კედლები, დეკორაციები და ტომრებში რაღაც გახვეულები.

მესამე მოქმედებაში ისევ ის დეკორაციები ბ-ნმა რეჟისორმა ისეთნაირად შესცვალა რომ ტყეების წვეროებზე უეცრად უზარ-მაზარი ხეები ამოვიდა.

პირველსა და მეორე მოქმედების შუა მთელმა „საუკუნემ" გაიარა, მანამ დეკორაციებს გამოცვლიდენ.

რაც შეეხება პიესას ვერაფერი შვილია და როგორც უკვე ვსთქვით, მთელი პიესა შესდგება პატარ-პატარა სცენებიდამ რომლებსაც ზოგ ადგილას არც კი ეტყობა გაერთიანება,

დასში იმყოფებიან საუკეთესო ძალები, მაგრამ ეტყობა წელს პატარა დასი უნდა იყოს, რაც აიხსნება მით, რომ ისეთ პატარა პიესაში, როგორიც „მთის ზღაპარია"-თითო მსახიობს ორ-ორი როლი ჰქონდა მიცემული. ეს გარემოება შემდეგში ძალიან დააბრკოლებს რთული პიესების დადგმას.

სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ მეორეთ უფრო დაკვირვებით დადგამენ პიესებს და ისეთ შეცდომებს არ დაუშვებენ, როგორიც იყო დაშვებული 18 სექ. წარმოდგენაზე. მაგალითად, პირველი წა-

---

რება და გვრიტად აქციეს. მას შემდეგ დასტირის თვის ბედსა და დაკარგულ ძროხებს.

28. აი ზაფხულის სიამენი. გულუხვი შემოდგომა ახლოვდებოდა და ყურძნის მტევნის სიმძიმით წელში სწყდებოდა ვაზი. ქალოაქ ტიროსიდან კარიის მსუბუქი ხომალდით გამოვიდნენ მეკობრენი და თარეში იწყეს სანაპიროებზე.

ჯუბა ჯავშანსა და აბჯარით შეჭურვილთ იწყეს რბევა და ტაცება, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდათ — თაფლის, ღვინის, პურისა და სხვ. რამდენიმე ხარი დარკონის ჯოგიდანაც გაიგდეს. დაფნისი ზღვის პირად თამაშობდა. გაბაწრეს ისიც ქლოიას კი ასე ადრიანად არ უშვებდა დრიასი იმის შიშით, რომ ზოგიერთ ურცხვი და მოურიდებელ მწყემსს არა ევნო — რა მისთვის. ლამაზი და მხარ-ბეჭიანი დაფნისის დანახვაზე, რომელიც ყველა დავლას სჯობდა, შესწყვიტეს რბევა მეკობრეთ, არც თხებისთვის უხლიათ ხელი... ატირებული დაფნისი, რომელიც ქლოიას მოუწოდებდა საშველად, ხომალდზე გადიყვანეს. შემდეგ ხომალდიც აუშვეს და შუა ზღვაში გასცურეს. ქლოიაც გამოჩნდა ამ დროს, რომელიც ფარას მოერეკებოდა და თან ახალი სალამური მოჰქონდა მეგობრის საჩუქრად. დაინახა დამფრთხალი თხები, დაფნისის ყვირილიც მოესმა ზღვიდან, ამიტომ მიატოვა ცხვრის ფარა, შორს გადისროლა სალამური და დარკონისაკენ გაიქცა დახმარების სათხოვნელად.

29. მეკობრეთაგან დაჭრილი დარკონი გულაღმა ეგდო და სისხლისაგან იცლებოდა. ქლოიას დანახვაზე უწინდელი სიყვარულის ნაპერწკალი ახალის ძლიერების გაცხოველდა, მის მომაკვდავ სახეს სიწითლემ გადაჰკრა და მიმართა:

— ქლოია, ხომ ხედავ, ვკვდები! ჩემ ჯოგს ვდარაჯობდი და წყეულ მეკობრეთ ხარივით დამკლეს. ღვთის გულისთვის, დაიხსენი დაფნისი, ჩემ ასეთ ყოფნაში ჩაგდებისათვის შური იძიე და მთლად ამოსწყვიტე ისინი. სალამურის ხმაზე მყვანან მიჩვეული ხარები და სადაც არ უნდა იყვნენ, აქეთ გამოსწევენ, თუ ყური მოჰკრეს ხმას. აიღე ის ჰანგი დაუკარ რომელიც დაფნისს ვასწავლე ოდესმე და და მან კი შენ შეგასწავლა; დანარჩენი სალამურსა და ხომალდზე მყოფ ხარებს მიანდევე.

მიჩუქებია შენთვის ეგ სალამურიც— მრავალი მწყემსი დამიმარცხებია მაგით. ყველა ამის ნაცვლად, სანამ ცოცხალი ვარ, მაკოცე ერთხელ და მკვდარი დამიტირე და, თუ ნახო როდისმე, რომ ჩემ ხარებს სხვა მწყემსავდეს, მოიგონე იმ დროს უბედური დარკომი.

30. მეტი ლაპარაკი ვეღარ შესძლო დარკონმა, და, როდესაც საკოცნელად მოეხვია ქლოია, უკანასკნელ სიტყვასთან ერთად სულიც აღმოხდა.

ქლოიამ აიღო სალამური და ისეთი ძლიერებით დაუკრა, როგორც კი შეეძლო. ხარებმა იცნეს ხომალდზე სალამურის ხმა და ყველანი ზღვაში გადმოცვივდნენ. ხარების ცალმხარზე გადმოსვლამ ხომალდი გადმოაფერდოვა გვერდზე; ხარების გადმოხტომაზე შუაზე გაიყო ზღვა და ზვირთებმა შთანთქეს ყველაფერი. ხომალდში მყოფნი მოედვნენ გაშმაგებულ ზღვას, მაგრამ ყველას ერთნაირად კი არ უნდა ჰქონოდა გადარჩენის იმედი: თითოეულ მეკობრეს გარდა მოზრდილი მახვილი ეკიდა წელზე, მთელი ტანი შებოჭილი და შეხუთული ჰქონდათ ჯუბა-ჯავშანისაგან, მუხლამდე სპილენძის საცვეთები ეცვათ. დაფნისი ფეხშიშველი იყო, რადგან ცხელი შემოდგომა იდგა და ტანზედაც მსუბუქად ეცვა. იარაღის სიმძიმემ ზღვის უფსკრულისაკენ მიიზიდა მეკობრენი და ყველა დაიხრჩო. დაფნისმა კი სულ ადვილად გაინთავისუფლა თავი სამოსისაგან. პირველად გაუძნელდა ზღვის გაჭრა რადგან მდინარეში ცურვასა და ბანაობას იყო მიჩვეული, მაგრამ გაჭირვებამ ყველაფერი ასწავლა: ორ ხარს მოებღაუჭა რქებზე და სულ ადვილად და დაუღალავად გამოსცურა ზღვა, თითქო ეტლს მართავსო. ხარი უძლიერეს ადამიანს სჯობნის ცურვაში; მხოლოდ ზღვის ფრინველთ და თევზებს ვერ უსწორდება და არასოდეს არ დაიხრჩვებოდა, რომ ჩლიქები არ უსივდებოდნენ წყალში და არ უმძიმდებოდნენ. ამასვე მოწმობს ბოსფორის ანუ ხარის ზღვის სახელწოდება, რომელსაც ახლაც არქმევენ ზოგიერთ ზღვებს.

31. ასე მოხდა დაფნისის, ასე ვთქვათ, ორმაგი სასწაულებრივი გადარჩენა და ხსნა სიკვდილის პირიდან — მეკობრეთა ხელიდან და ხომალდის დაღუპვის დროს. ნაპირზე გამოსვლისას ნახა, რომ ქლოია ერთ და იმავე დროს ტიროდა და თან იცინოდა. მაშინვე ეცა, გადაეხვია და სალამურის დაკვრის მიზეზი ჰკითხა. ქლოიამ ყველაფერი უანბო: როგორ მიირბინა დარკონთან, როგორ ჰყოლია მას მიჩვეული ხარები, როგორ სთხოვა მას სალამურის დაკვრა და, უკანასკნელად, როგორ დალია სული. მხოლოდ ერთი რამ აღარ გაუმჟღავნა, რადგან რცხვენოდა-კოცნა. უკანასკნელი ვალის მოხდა გადასწყვიტეს მათი კეთილისმყოფელის წინაშე და დარკონის მშობელთა მწუხარებას შეუერთდნენ ისინიც. პატივისცემის ნიშნად მრავალი ხეხილი დარგეს მის საფლავზე. მთელი თასი რძე გადაავლეს მის საფლავს, ყურძენი დააწურეს, სალამური გადატეხეს საფლავზე. ხარების სასოწარმკვეთი ბღავილი მოისმოდა დამარხვის დღეს-ისინიც მგლოვობდნენ პატრონს, როგორც მწყემსები ირწმუნებოდნენ.

32. დარკონის დამარხვის შემდეგ ფერიათა გამოქვაბულში აბანა ქლოიამ დაფნისი. გასათხოვარმაც აგრეთვე დაფნისის თანადასწრებით პირველად დაიბანა თვისი თეთრი და სუფთა, სილამაზისა და მშვენების მფრქვევი სხეული, რომელმაც უიმისოდაც თვალწარმტაცი რამ იყო. უთვალავი ყვავილი მოჰკრიფეს, რაც კი მოიძებნებოდა იმ დროს. მოჰქსოვეს გვირგვინი ფერიათათვის და, ვით სამსხვერპლოს შესაწირავი; დარკონის სალამურიც იქვე კლდეზე ჩამოჰკიდეს. შემდეგ კი ცხვართხას მიაკითხეს. საბრალონი კრიჭა შეკრულნი იწვნენ და არცა სძოვდნენ და აღარც ბღაოდნენ. შესაძლებელია დაფნისსა და ქლოიას უნახაობას ნაღვლობდნენ ხოლო, როგორც კი გამოჩნდნენ ისინი და ჩვეულებრივ მოუწოდეს, სალამური დაუკრეს, ცხვრებმა იმავ წუთს იწყეს ძოვნა, თხები კი კუნტრუშს და ღაღანს მოჰყვნენ, პატრონის დაბრუნებას დღესასწაულობდნენ.

იმ წუთიდან, როდესაც შიშველი ქლოია იხილა, აღარა ახარებდა რა დაფნისს და სტკბებოდა მისი საიდუმლო სილამაზით. გული მოეწამლა, კაეშანმა მოიცვა მისი არსება, ხან სულ მთლად შეუჩერდებოდა სულთქმა მომაკვდავივით, ხან მოუხშირებდა, თითქო საითმე საშიშრად მიეჩქარებაო. მდინარეში ბანაობა უფრო ეჩვენებოდა ვიდრე ხომალდზე დაღუპვა; მისი სული ჯერ კიდევ მეკობრეთა ხელში ეგონა. საწყალმა ჰაბუკმა, ველ — მინდორთა საბრალო შვილმა არ იცოდა, რომ სიყვარულზე უძლიერესი და უსასტიკისი ყაჩაღი — მეკობრე — არ არსებობს ამ ქვეყანად.

პირველი წიგნის დასასრული.

გ. მუმლაძე.

რმოდგენის რეჟისორი „სამი წერტილი“ პარტერის პირველ წყებიდამ უყვირის „ფარდა, ფარდა დაუშვითო—სად მომხდარა ეს და სად გაგონილა, რომ რეჟისორი საზოგადოებიდამ ანიშნებდეს ფარდის აშვებ დაშვებას.

ვარწმუნებთ ბ-ნ სამ წერტილს (რეჟისორს), რომ თუ ესეთი წარმოდგენებით გაუმასპინძლდა საზოგადოებას, იგი პირს იბრუნებს ქართული წარმოდგენებიდამ და შემდეგში ვერავინ უსაყვედურებს, თუ საზოგადოება რისთვის არ ესწრება წარმოდგენებს.

არ შეგვიძლიან გამგეობას მადლობა არ გამოუცხადოთ თეატრის შეკეთებისათვის და უმთავრესად სავარძლების გამოცვლისათვის, მადლობა ღმერთს ტანსაცმელი გადარჩა დახევ-დაგლეჯას! დღეს მოსვენებული ზიხართ და ისმენთ პიესის მსვლელობას,

რამდენადაც გამგეობა ღირსია მადლობისა, იმდენად და ათი იმდენადაც დასაგმობია ქანდარაზე მყოფ საზოგადოების საქციელი, ვერ მოუსმენია კაცს პიესა ისე, რომ ერთი ყვირილ-უწესოება არ მოხდეს მოქმედების დროს.

დასასრულ, ვუსურვებ ჩვენს პატარა დასს კარგათ და ბეჯითად შეესრულებინოს თავისი მოვალეობა და ყოველთვის ნასიამოვნები დაბრუნებულიყოს თეატრიდამ საზოგადოება და არა ისე, როგორც პირველ წარმოდგენიდამ დაბრუნდა, მაგრამ ეს ხომ დასის ბრალი არ არის—რეჟისორის ხელი აკლდა.

კიდევ ერთი შენიშვნა! რა საჭიროა ზარის მაგივრად ელექტრონის ჩაქრობა და განათება, პირდაპირ ნერვების აშლილია და მასთან საფრთხილოც არის, ადვილი შესაძლებელია რაიმე მარცხიც მოხდეს, კარგ წარმოდეენებს რას დაუშლის ხოლმე ზარის ჩამორეკა?*)

კენტი.

# რუსეთი.

რუსის ელჩს ლივერპულში (ინგლისში) ჯაყელს მოუწერია სწავლა განათლების სამინისტროსათვის, საჭიროა ლივერპულში გამოგზავნოთ შესაფერისი სწავლით აღჭურვილი რუსული ენის მასწავლებლები, რადგანაც რუსული ენის შესწავლას მრავალნი ნდომობენო.

— —

მოსკოვის ტეხნიკურ სასწავლებელთან დაარსდება ტყავეულების დამზადების მუდმივი კურსები.

— —

რუსეთის შავრაზმელები ქართველ ეპისკოპოს კირიონს რუსეთშიაც არ ასვენებენ. უწმ. სინოდში მასზე მრავალი ბრალდება წარუდგენიათ; ეპ. კირიონი გაუწვევიათ პეტროგრადში და განმარტება მოუთხოვიათ მისთვის. ეპ. კირიონს ერთიან გაუბათილებია ბრალდებანი, გაუმართლებია თავი და თავის სამწყსოშივე ქ. პოლოცკში დაბრუნებულა.

— —

არქიმანდრიტ მელქისედეკის ხიროტონიაზე (ეპისკოპოსად კურთხევა) უწმ. სინოდის მიერ გაწვეული გორის ეპ. ანტონის სინოდის ობერ პროკურორი ნ. პ. რაევი უნახავს, დიდხანს უბაასნიათ ქართული ეკლესიის მდგომარეობაზე. რაევი დაინტერესებული ყოფილა ქართული საექსარხოსოს მდგომარეობით რაევის მამა მიტრ. პალადი ერთხან საქართველოს ექსარხოსად იყო.

**პროტოპოპოვის დანიშვნა**

პროტოპოპოვის დანიშვნის შესახებ გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ მისი დანიშვნით მთავრობამ დაუთმო საზოგადოების მოთხოვნილებასაო.

— —

პროტოპოპოვის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნა ყველასათვის მოულოდნელი იყო, ვინაიდგან პროგრესისტი პროტოპოპოვი მომხრე იყო ფართე რწმენისა და ბეჭდითი სიტყვის თავისუფლებისა, საჭიროდ სცნობდა პოლონეთის ავტონომიის განხორციელებას და იცავდა მუშების ოფიციალურ ორგანიზაციებს.

— —

პურიშკევიჩის აზრით პროტოპოპოვის დანიშვნა საზოგადოების გამოცდააო.

— —

სათათბიროს მემარცხენე დეპუტატების აზრით პოტოპოპოვის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც მთავრობის პოლიტიკის მიმართულება წინანდელიაო.

— —

კვლავ ხმები დადის რომ ტრეპოვი და შტიურმერი თანამდებობას თავს გაანებებენო.

— —

უწმ. სინოდმა დაადგინა მონასტრების შემოსავლით დაარსოს ობერ პროკურორის მეორე იმხანაგის თანამდებობა.

— —

ნიჟნი ნოვგოროდში რამოდენიმე ასი ათასი ფუთი გადამალული პურის ფქვილი და 30 ათასი ფუთი ბრინჯი აღმოუჩენიათ.

— —

„ქალაქთა კავშირის უწყებათა“ უკანასკნელი ნომერი მთავრობის განკარგულებით შეუჩერებიათ. ხოლო მისი რედაქტორი ჩელნოკოვი სამართალოში მიუციათ.

— —

ახლო მომავალში ადესაში მთავრობის ნებართვით ებრაელთა სპეციალური სასწავლებელი გაიხსნება, რომელშიაც. ზოგიერთ საგნების სწავლება ებრაულ ენაზე იქნება

— —

პეტროგრადში სექტემბრის პირველ ორ კვირაში სახელმწიფო შემნახველ კასებში 52,3 მილიონი მანეთი შეუტანიათ მცხოვრებლებს.

— —

ჩრდილოეთ რუსეთში რამოდენიმე ალაგას დიდი თოვლი მოსულა.

# უცხოეთი.

შვეიცარიისთვის ორჯერ მიუმართავთ, რათა მას ეთავა და ზავის ჩამოსაგდებათ შუამდგომლობა გაეწია ორივე მებრძოლ მხარეებთან.

— —

დანიის რიქსდაქს დაუდგენია მინისტრთა კაბინეტში მიიწვიოს სამი უპორტფელო მინისტრი, რადგანაც დიდი მეცადინეობაა საჭირო, რომ დანიამ ნეიტრალიტეტი დაიცვას და ომში არ იქნეს ჩარეული.

— —

ჩინეთმა იაპონიის ყველა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილა და თავისი ჯარი მონგოლეთიდან მოუყვანია. ზოგ ალაგას იაპონელთა სადარაჯოები დარჩენილან, და სხვა ჯარი კი იაპონლებს ალლუმზე წაუყვანიათ.

— —

იაპონიაში ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით დაუკეტიათ ,,გერმანია-აზიის ბანკის“ განყოფილებანი.

— —

ნორვეგიის მსოფლიო მწერლების იბსენის და ბიერნსონის შვილები გერმანოფილურ პროპაგანდას ეწევიან, როგორც სკანდინავიაში ისე პოლონეთში.

— —

ამერიკის რკინისგზის მოსამსახურენი გაფიცულან.

## პასუხი ღია ბარათზედ.*)

**კაცხის ორ-კლ. სამ. სასწ. მასწ. ის. ღვანიძეს.**

პატივცემულ გაზეთ „ახალი კვალის“ № 26 მოთავსებული იყო ბატონო ა. ღვანიძევ თქვენი წერილი ჩემდამი მომართული, რომლის მიზანი იყო ჩემი პიროვნების შელახვა, მაგრამ თუ არ გამირისხდებით, თქვენი ღია ბარათი „დაჩქარებითი“ ნაწარმოები უნდა იყოს, იმიტომ რომ „საქმეებში“ საკმაოდ გამოცდილ კაცს მოქმედების მეორე მხარე არ გაგითვალისწინებიათ.

თვალყურს ადევნებს რა ადამიანი თქვენს ზეპირ მოქმედებას სახლში და გარედ, თუ წარსული წლიდან დღემდე სხვადასხვა გაზეთებში მოთავსებულ სასაცილო და შეუწყნარებელ თქვენს ჭორებს „ჩივორტულა“ და „ზახრუმასი“ ფსევდონიმით, რომელ წერილებშიაც სცდილობდით ჩირქი მოგეცხოთ როგორც ჩემის, ისე ქ. ქორიაშვილის მოღვაწეობისათვის ჩვენი სოფლის სკოლაში—ყველა მიხვდება, რომ თქვენ ბ-ნო ღვანიძევ, არ უნდა იყოთ მართებული ადამიანი. ეს სხვათა შორის თქვენი ღია ბარათიდანაც სჩანს, რომლითაც თქვენ მომმართეთ პატივც. „ახალი კვალის“ საშუალებით.

ბატ. ღვანიძე, მართალი მოგახსენოთ, თქვენი თავხედური მოქცევა რომ ასე შორს არ გადასცილებოდა საზღვარს, და სასწავლებლის ინტერესებს არ შეხებოდა, ჩემი პიროვნების დამცირებად ჩავსთვლიდი პასუხის გებას, მაგრამ რადგან ჩვენი სკოლის საქმეებსაც შეეხეთ, იძულებული ვარ გიპასუხოთ.

ბ. ღვანიძევ; დაარსებიდან კაცხის სასწავლებლისა დღევანდლამდე მე ვიმყოფები საპატიო მზრუნველად (ПОЧЕТНЫМЪ БЛЮСТИТЕЛЕМЪ) და თითონ თქვენ არა ერთხელ შეგისხამთ ხოტბა ჩემის მოქმედებისათვის ქართულ გაზეთების საშუალებით და ამ მოკლე ხანში რაღათი დავიმსახურე თქვენი რისხვა?! შეიძლება გამოგცვალე? მაგრამ ჩემ დროში (68 წლისა ვარ), ვფიქრობ, არ იცვლიან რწმენას და ზნეობრივ პრინციპებს, რომელთანაც თქვენ არც კი გაქვსთ საქმე!

ყველამ იცის, ბ. ღვანიძე, რომ თქვენ ჩემ წინააღმდეგ მოქმედებას აწარმოებთ იმ დღიდგან, რა დღიდგანაც ნიღაბი ჩამოგეხადათ, კარგად გაგიცანით და თქვენთან ნაცნობობა შევწყვიტე!

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ თქვენ არა ერთხელ მომიგზავნეთ კერძო და ოფიციალური პირნი და მეხვეწებოდით შერიგებას და მხოლოდ მიზნის მიუღწევლობამ ჩამოაშორა თქვენ პიროვნებას ჩადრი, რის შემდეგ თქვენ ზეპირათ თუ წერით მოინდომეთ ხალხის ნდობის შერყევა ჩემდამი, რაც ვერ შესძელით ბ. ღვანიძევ, და ვერც შესძლებთ! თქვენ, ის ფაქტი მაინც უნდა გქონოდათ მხედველობაში, რომ ბოსლევის, რგანისა და კაცხის საზოგადოებამ არც კი გიცნო დი ისე აშომარჩია თავიანთ სასწავლებელთა საპატიო მზრუნველად, მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი სხვა იყო მოსურნე უთვილიყვენ არჩეულნი!

თქვენ ბრძანებთ, რომ მე შევსწირე ვითომც მიწა თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელს; ეს სიმართლეს მოკლებულია! თქვენ კარგად უნდა იცოდეთ თქვენ სასწავლებელში არსებულ დაბეჭდილ ანგარიშით მაინც, რომ მე მიწა შევწირე არა თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელს, არამედ ჯვარის-ეწერისა და დიდი კაცხის სკოლას და შევსწირე იმ პირობით რომ, სკოლასთან ერთვილიყო საბაღოსნო განყოფილება. ახლაც მზადა ვარ პირობის შესრულებისათანავე გადავცე მიწა.

ბ. ღვანიძე, ვისთან და საით დავიარები, ამის განსჯა თქვენ კომპეტენციას აღემატება და აი, თქვენ, კი არ შეიძლება არ ჩაგითვალოთ დანაშაულად, რომ თქვენ, თქვენი მოვალეობის ასრულების მაგივრად სადამომდი ზისართ სოფლის სასამართლოში და ეხმარებით სოფლის მსაჯულებს, რისთვისაც შეუ ბრალებლად აძრობთ კანს გლეხებს და ამის შემდეგ შეგწევთ კიდევ გაბედულება თავს უწოდოთ „პროლეტარიატის ინტერესების დამცველი“?!

ფაქტი უნდა იყოს აგრეთვე ბ. ღვანიძევ, ისიც, რომ ამას წინად ჩემგნით დაწერილი და თბილისის სინოდალურ კანტორაში გაგზავნილი ქაღალდი, რომლის ასლი თქვენ ხელში იყო, თქვენი სახელით დაბეჭდინეთ, ჩემ დაუკითხავათ, ერთ-ერთ ადგილობრივ რუსულ გაზეთში, ფაქტია ისიც, რომ სასწავლებელში შემოიღეთ რვეულებით აწეულ ფასებში გაჭრობა და 6 კაპ. ნაყიდ რვეულს ორ შაურად ჰყიდით. ფაქტია აგრეთვე ისიც რომ მეღუქნეებიდგან მიგქონდათ სასწავლებლისთვის ნივთები, ორ ზომას იწერდით ფულს მთავრობიდან, რომლის ნაწილს ითვისებდით. უარს ვერ იტყვით, ჩემი ფიქრით, იმაზედაც, რომ ამხანაგ მასწავლებელთა წერილებს და სხვასაც ხსნიდით, რისი წყალობით დათხოვნილი იქნენ კაცხიდგან პატიოსანი მუშაკი-მასწავლებელნი: მაჭავარიანი, ლომთაძე და თურმანიძე, რომელთაგან უკანასკნელმა სრულიად დაკარგა მასწავლებლის ადგილი.

კარგად მახსოვს, რომ მიიღეთ ბ. ღვანიძევ, თქვენ კუთვნილი შენიშვნა სხვისი წერილის გახსნისათვის ყოფილ სახ. შკ. დირექტ. ბ. სემენოვისაგან განა თქვენის წყალობით არ არის ახლო-მახლო სასწავლებელთა მასწავლებლების შორის დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება, რის დასამტკიცებლად მაქვს თქვენგან მოწერილი წერილი, სადაც თქვენ მთხოვთ გავლენა ვიქონიო ვისზედაც ჯერ არს, გამოცვლილ იქნეს რგანის სასწავლ. გამგე ქალი ქ-ნი გაბილავა და მის მაგივრად იქნეს დანიშნული, თქვენი საუკეთესო მეგობარი და „ნათლისმამა“ კოტე ცერცვაძე, რომლის დათხოვნა უნდოდა ადგილობრივ ყოფ. სახ. ინ ბ. კირეევს? თქვენივე წყალობით უნდოდათ გადაეყვანა კაცხის საქალო სასწავლ. გამგე ქალის ქ. ქორიაშვილის, რომელმაც პატიოსნურ მოვალეობის გამო მოიხვეჭა სიყვარული და პატივისცემა მთელ საზოგადოებაში. დავანებოთ თავი ყველა იმას და აღვნიშნოთ ერთი საკმაოდ საყურადღებო ფაქტი. გლეხმა სოკრატ მიხელიძემ მოგანდოთ თქვენ ჩემ ოჯახში დახეული ქაღალდის ფულები—120 მანეთისა, რომელიც შეუჭამა მას ხბომ; მიხელიძემ დაჭკლა ხბო და მხოლოდღა ფულის ნახევები იპოვა. გლეხის შეწუხებამ იმოქმედა ჩემზე და გთხოვეთ თქვენ დახმარებოდით ხსენებულ მიხელიძეს შეძლებისდაგვარად საქმის მოგვარებაში, მაგრამ თქვენ მხოლოდ დაჭპირდით შეწევას ფული კი თქვენთვის გამოიწერეთ პეტროგრადიდან და მიიღეთ თუთხმეტი მანეთი სამშაურ ნაკლებ. როდესაც გლეხმა მიხელიძემ ჩვენ ორთავეს გვიჩივლა და ფულის მითვისებას გვაბრალებდა, თქვენ ფიცი მიიღეთ და არწმუნებოდით: „არა ვიცი რა—ფულების ნახევები დამეკარგაო“.

მეინტერესება აგრეთვე, სად ინახება, ბ. ღვანიძევ, ის სამასი მანეთი, რომელიც თქვენ გაჭყევის სასწავლებლის შენობაზე გადაგრჩათ!

მივათითებ რა თქვენს ასეთ საქებ მოღვაწეობაზე დავტოვებ საკითხს გასასჯელად მკითხველი საზოგადოებისა: არის თუ არა ხელსაყრელი რომ ასეთი ადამიანი როგორიც თქვენა ბრძანდებით სათავეში უდგეს ახალთაობის აღზრდას და მასწავლებლის სახელწოდებას ატარებდეს?

დავით ღლონტი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

*) ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ის რეჟისორი რომელმაც არ ისურვა აფიშაზე თავის სახელის აღნიშვნა, თეორეტიულად მომზადებული თეატრალია და დიდის პატივის მცემელიცა ვართ მისის ცოდნა-ნიჭისა, მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია არ გავიზიაროთ ბ-ნ კენტის აზრი 18 ენკენისთვის წარმოდგენის შესახებ, თუმცა ქუთათურ მეორე გაზეთის რეცენზენტი გადაჭრით ამბობს: „აღტაცებას იწვევდა რომ ქუთაისის სცენაზე ამ გვარად დადგმული მხატვრული პიესა იხილესო“...

ამის შემდეგ აღარ ვიცით, სად არის სამზღვარი მართალსა და არა მართალს შორის! ამის გადაწყვეტა თვით მსახიობებისა და თეატრში მოსიარულე საზოგადოებისათვის მიგვინდვია.

ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ კარგი რამ არის მეგობრობა, მაგრამ თვალების დახუჭვა მეგობრობისათვისაც ისეთივე მავნებელია, როგორც მავნებელია ჭეშმარიტებისათვისაც. შუბი ხალთაში არ დაიმალება და არც უნდა დავმალოთ.

რედ.

*) სიმართლის აღსადგენათ რომ არ გვაინტერესებდეს, ეს წერილი საყურადღებოა, როგორც ნიმუში სოფლის ზოგიერთ ინტელიგენტის დამახასიათებელი.

რედ.



**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | -- 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 | „ |

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის. შესავალი გაზ. „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, სიყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჰაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)